პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 3 (9414)
6 იანვარი, სამშაბათი, 1987 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ქურადღება, ცვლა მოდის!

1987 წლის სპორტულ კალენდარში სიახლეა. სსრ კავშირის ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება ჩატარდეს სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები, შეჯიბრების დევიზი იქნება „მასობრიობიდან — ოსტატობისაკენ“. ახალგაზრდობა მიეძღვნება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს.

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი შეხვდა სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვ. გროზმიკს, რომელიც უხელმძღვანელებს საკავშირო მსაჯთა კოლეგიას და სთხოვა მოეთხრო მომავალი ოლიმპიელების გამოცდის თავისებურებებზე.

⊙ უპირველეს ყოვლისა, ჩვენს მკითხველს აინტერესებს, თუ რა მიზანს ემსახურება ეს თამაშები?

— როდესაც სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის შედეგები გავაანალიზეთ, აღმოჩნდა, რომ არსებითი შეცდომები სწორედ სრულყოფილი რეზერვის მომზადებაშია დაშვებული. სამწუხაროდ, ზოგიერთი სპორტსმენის სუსტი შედეგების ძირითად მიზეზებს სხვადასხვა ტიპის სპორტულ სკოლებში სასწავლო-სავარჯიშო და აღმზრდელობითი პროცესის დაბალი დონე განაპირობებს.

შეცდომები მაღალკვალიფიციური ოსტატების მომზადების ორგანიზაციასა და მეთოდიკაში, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მწვრთნელები ძირითადად ნაადრევ შედეგებს არიან გამოდევნებულნი, რასაც ისინი აღწევენ ახალგაზრდა სპორტსმენების მზადების ფორსირებით.

შემთხვევითი არ არის, რომ ბევრმა სპორტსმენმა, რომლებზედაც თავის დროზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, შემდგომში ვერ შეძლო მიეღწია საოცნებო ოლიმპიური მწვერვალებისათვის.

სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების ამოცანაა გააქტიუროს და სტიმული მისცეს სპორტსკოლებში მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას. სწორედ ეს იქნება პირველი რგოლი იმ კომპლექსური ღონისძიებების სისტემაში, რომელიც ოლიმპიადა-92-ის პრეტენდენტებმა უნდა გაიარონ.

სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში გამარჯვებულნი ჯერ ჭაბუკთა და ახალგაზრდულ სპორტულ თამაშებში, შემდეგში კი სსრ კავშირის ხალხთა სპარტა-

იხ. მე-3 გვ.

ვილვაფოთ საქმის სიყვარულით

ოთაგბათა მეშკვიდ[illegible] სპორტის, კომკავშირის, ომისა და შრომის ვეტერანებთან, ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა.

ამ შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი მერკვილაძე, გთავაზობთ მისი გამოსვლის ტექსტს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გაგიკვირდეთ, რომ ასეთ მნიშვნელოვან თათბირზე ფიზიკური აღზრდის დარგის ვეტერანს მისცეს სიტყვა.

ადრე საქმე მხოლოდ ოფიციალური ხელმძღვანელებს, კომიტეტის თავმჯდომარეებს და სხვა დიდი რანგის მუშაკებს ეკითხებოდათ და მოთათბირენიც ისინი იყვნენ. თუნდაც ფაქტი ასეთ თავყრილობაზე ვეტერანის მოსმენისა ამტკიცებს იმ ყურადღებას, რასაც დღეს პარტია იჩენს საკითხის საფუძვლების შესწავლისათვის. კრიტიკისათვის დიდი მასალა გვაქვს, მაგრამ საჭიროა ჩვენს ახალგაზრდობას ძველი ამბებიც გავახსენოთ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღესვე, ე. ი. 26 თებერვალს, გიორგი ნიკოლაძე, გიორგი ეგნატაშვილი და თამარ ნიკოლაძე დაიბარა მამია ორახელაშვილმა, დაადგინა განათლების სახალხო კომისარიატთან ფიზიკური აღზრდის განყოფილების დაარსება და მისწერა სერგო ორჯონიკიძეს წერილი თხოვნით ფიზიკური კულტურისათვის ყოველგვარი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამხანაგმა სერგომ და მეთერთმეტე არმიის ხელმძღვანელმა გეკერმა მისწერეს ყველას, ყველა ორგანიზაციას, რომ ფიზიკური აღზრდისათვის გამოყოფილი უკლებლივ ყველა შენობა და მოვარჯიშეთა წრეებიც ხელშეუხებლად დაეტოვებინათ. სხვათა შორის, მაშინ მბეჭდავ-მემანქანეები ნაკლებად გვყავდა. ამ პირველ განკარგულებათა ხელნაწერი, მამია ორახელაშვილისა და სერგო ორჯონიკიძის წერილები დღესაც ინახება გიორგი ეგნატაშვილის ვაჟის მიერ დაცულ არქივში.

ასე რომ, ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა პირველი დღიდანვე მოგვევლინა ქომაგად. ენთუზიაზმი, თავდადება და საქმის სიყვარული იქცა რესპუბლიკაში ფიზიკური აღზრდის განვითარების მთავარ პირობად. პირველი დღიდანვე ამ საქმის მონაწილე გახლდით ჯერ განათლების სახალხო კომისარიატში, შემდეგ ვსევობუჩში, სადაც სამხედრო-საზღვაო კომისრის ვლადიმერ ჯიქია.

იხ. მე-2 გვ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

შქვსეულის მისადგომებთან

გიმარაო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა მორიგი ტურის მატჩები.

თბილისის „დინამო“ კაუნასში ადგილობრივ „ჟალგირისს“ შეხვდა. გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს — 115:91 (62:42). ეს მატჩი ლიტველთა ერთ-ერთი ბოლო თამაში იყო ევროპის საკლუბო ტურნირის მორიგი კალენდარული მატჩის წინ და მიმმხილველთა აზრით „ჟალგირისმა“ იგი მაღალ დონეზე ჩაატარა.

ჩემპიონატის ამ ეტაპზე გუნდების მთავარი ამოცანა ფინალისტთა ექვსეულში მოხვედრაა. ზოგმა კოლექტივმა ეს უფლება უკვე გაინაღდა. ზოგის ბედი კი სწორედ ამ ტურის შეხვედრებში გადაწყდება. ლენინგრადის „სპარტაკმა“, მაგალითად, ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და ფინალში გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგა. ნეივსპირელები ჯერ კიევის არმიელებმა დაამარცხეს — 90:71, მერე კი ალმა-ათის არმიელებმაც — 79:69 (33:36).

ლენინგრადელთა უშუალო კონკურენტმა რიგის ვეფ-მა ვილნიუსის „სტატიბა“ დაამარცხა — 94:86 (53:42) და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ფინალისკენ.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა. ცსკა — ასკ (ალმა-ათა) 102:64, ცსკა — ასკ (კიევი) 87:72 (45:42), რტი (მინსკი) — „სტროიტელი“ (კიევი) 83:77 (37:36).

კომპიუტერიც ცდება...

უენევა, 5 იანვარი (საკდესი). მსოფლიო ჩემპიონები მაია ჩიბურდანიძე და გარი კასპაროვი სთავაზობენ უდგანან პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკეთა სიებს, რომლებიც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა. როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ამ ორგანიზაციამ გამოაქვეყნა თავისი რეიტინგის სიები, სადაც ნაკლებად ცნობილი ბერძენი მოჭადრაკე ქალი ელენ ვაზოურა მსოფლიო ჩემპიონზე მაღლა იდგა. ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ლმ კოკ ანიმ, რომელიც დარწმუნებული იყო კომპიუტერის მუშაობის სიზუსტეში, ბერძენი მოჭადრაკე ქალის გამოჩენა სარეიტინგო სიაში იმით ახსნა, თითქოს მას გაემარჯვა რომელიღაც დიდი მასშტაბის ტურნირებში. მაგრამ კომპიუტერიც კი ცდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ მას არასწორი ინფორმაციით დაპროგრამებენ.

დეკემბერში გამართული საჭადრაკო ტურნირების გამოკლებით, რეიტინგის სია ასე გამოიყურება:

ვაჟები. 1. გარი კასპაროვი — 2735, 2. ანატოლი კარპოვი — 2710, 3. ადრიი სოკოლოვი და არტურ იუსუპოვი — 2645.
ქალები: 1. მაია ჩიბურდანიძე — 2530, 2. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი) — 2495, 3. ნონა გაფრინდაშვილი — 2475.

ფეხბურთი—87

თებერვალში იწყება

1987 წლის სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს საბჭოთა ფეხბურთელები გამართავენ 24 თებერვალს: ამ დღეს კიევის დინამოელები მონაკოში ევროპის ქვეყნების სუპერთასზე შეხვდებიან რუმინეთის „სტიაუას“.

ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის შემდეგ კიევის დინამოელები განაგრძობენ ბრძოლას ევროპის ჩემპიონთა თასზე, ხოლო მოსკოვის ტორპედოელები იბრძოლებენ თასების მფლობელთა თასისთვის. მათი ორივე მატჩი გაიმართება 4 მარტს, ხოლო ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა შედგება 24 იანვარს, ამ დღეს გაირკვევა კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მეტოქეები.

სსრ კავშირის 1987 წლის ხაიუბილეო, 50-ე ჩემპიონატი უმაღლეს ლიგაში სტარტს აიღებს 9 მარტს. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი), ცსკა — „დინამო“ (მინსკი), „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი). საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდება 22 ივნისს, შემდეგ მოეწყობა მცირე შესვენება და 10 ივლისს დაიწყება მეორე წრე, საკავშირო ჩემპიონატი კი დამთავრდება 15 ნოემბერს.

საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენი უძლიერესი გუნდები წინასასეზონო მზადების პროგრამით გამართავენ საერთაშორისო შეხვედრებს. კიევის დინამოელები ამჟამად საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მოსკოვის დინამოელები იანვრის დასასრულს გეიმგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, მინსკის დინამოელები თებერვლის დასაწყისში ამხანაგურ შეხვედრებს გამართავენ ახალ ზელანდიაში, ლენინგრადის „ზენიტი“ თებერვლის ბოლოს იმოგზაურებს

იხ. მე-4 გვ.



„პატარა ვერელის“ ახალი სიცოცხლე

თითქოსდა უჩვეულო არაფერი მომხდარა: ფეხბურთელები გამოვიდნენ მოედანზე და მწვრთნელის სასტვენისთანავე შეუდგნენ ვარჯიშს. ისე გატაცებით, ხალისით, მონდომებით ვარჯიშობდნენ, რომ უნებლიედ იპყრობდნენ გარეშე პირთა ყურადღებას. და მაინც ყო-

იხ. მე-3 გვ.

ფოტოცნობა — ტასი



▲ **ახალგაზრდა** თბილისელ ოსტატის იგორ ეფიმოვის გამარჯვებით დასრულდა ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გრადეც კრალოვში გამართული ტრადიციული საახალწლო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩეხოსლოვაკიელმა, პოლონელმა, ჰოლანდიელმა, საბჭოთა და სხვა ქვეყნების მოჭადრაკეებმა. გამარჯვებულმა ცხრა შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა.

▲ **რენძიუ** შაშის ნაირსახეობაა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად თამაშობენ. აქამდე რენძიუს ჰყავდა მსოფლიო ჩემპიონები... მიმოწერით თამაშში. ორი მათგანი — ვ. საპრონოვი და ა. ნოსოვსკი საბჭოთა კავშირიდან იყვნენ (რენძიუ იაპონური წესებით). ანალოგიურ ტიტულს ევროპულ შაშში (მისი წესები იაპონურზე უფრო მარტივია) ბულგარელი გრიგორ ფილკოვი ფლობს.

ახალი წლის წინა დღეებში ლენინგრადში მსოფლიოს დასწრებული ჩემპიონატი ჩატარდა (ევროპული წესებით). 24 წლის მოსკოველმა ინჟინერმა სერგეი ჩერნოვმა 13 შეხვედრა მოიგო, 3 წააგო და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე და მესამე ადგილებზე შვედები სტეფან იანსონი და იან პალმგრენი გავიდნენ — შესაბამისად 12 და 11 ქულები დააგროვეს. ასპარეზობაში მონაწილეობდა 18 საბჭოთა და 16 შვედი შაშისტი, აგრეთვე თითო წარმომადგენელი ბულგარეთიდან და ავსტრალიიდან.

ᲕᲘᲚᲕᲐᲜᲝᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ხელმძღვანელობით ვმუშაობდი. მე და იმხანად იქ მომუშავე გიორგი ნიკოლაძემ, გიორგი ეგნატაშვილმა, ექიმმა სოსო ასლანიშვილმა ერთად გავიარეთ და ღრმად განვიცადეთ ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის განვითარების ყველა ეტაპი.

პირველ ეტაპზე ვცდილობდით ვყოფილიყავით საუკეთესონი საბჭოთა რესპუბლიკებში ვსევოლოჟის მუშაობის მხრივ, რასაც მივაღწიეთ კიდეც და პოდვოისკის მადლობაც დავიმსახურეთ (ეს ის პოდვოისკია, დამფუძნებელი კრება რომ გარეკა).

მეორე ეტაპზე, როდესაც ფიზიკური აღზრდა პროფკავშირებისა და უწყებების ხელში გადავიდა, დაარსდა საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ვანო სტურუას, შემდეგ კი შალვა ელიავას თავმჯდომარეობით და აქ პირველი კომკავშირელები დაინიშნენ პასუხისმგებელ მდივნებად. მე სამეცნიერო-მეთოდური კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნეს და მთელი მუშაობის გეგმიანი ხელმძღვანელობა დამევალა. მთელი ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია ყოველმხრივ გვეხმარებოდა, მაგრამ ამ დროს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით სკოლები უმასწავლებლებოდ დავრჩა. სკოლებში ფიზაღზრდის მასწავლებლად მომუშავე ჩეხებმა, ისეთმა დიდმა სპეციალისტებმა, როგორებიც იყვნენ ლუკეში, ვახეკი, სტარი, კოუბა და ბევრი სხვა, თავიანთ სამშობლოს მიაშურეს.

სწორედ ამ დროს ნათლად გამოჩნდა ქართველი ინტელიგენციის პატრიოტობა. უნივერსიტეტის დოცენტმა გიორგი ნიკოლაძემ თბილისის მე-13 სკოლაში აიღო ფიზკულტურის გაკვეთილები; ქართული მეტალურგიის პიონერმა ირაკლი ლორთქიფანიძემ განათლების სახალხო კომისარიატში ფიზკულტურის ინსპექტორობა იკისრა, პავლოვის სკოლის აღზრდილმა, შემდეგ პრაღაში და ლონდონში კურსდამთავრებულმა თამარ ნიკოლაძემ — დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ფიზკულტურული განათლება და განათლების სამინისტროს ინსპექტორობა. პოემმა მიქელ პატარიძემ, რომელმაც პირველმა თარგმნა ქართულად ესენინი და შემდეგ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს სანიმუშოდ მოუარა, ჩემთან ერთად ფიზკულტურის მასწავლებლობა დაიწყო კომუნისტურ უნივერსიტეტში. იქ იწრთობოდნენ მომავალი პარტიული მუშაკები, რაიკომებისა და ქალაქკომების მდივნები, რომლებსაც თავიანთ მუშაობაში ყოველმხრივ უნდა შეეწყოთ ხელი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისთვის.

ბევრმა თქვენგანმა ალბათ არ იცის, რომ პოეტი პაოლო იაშვილი ცნობილ მოჭადრაკე ვიქტორ გოგლიძესთან ერთად შევახვედრეთ შალვა ელიავას და სწორედ ამის შემდეგ დაარსდა პირველი საჭადრაკო კლუბი.

ფიზიკური აღზრდის საქმეს მუდამ პატრიოტული სულისკვეთებით ეკიდებოდნენ ჩვენი კომპოზიტორები. უნდა დავასახელო ანდრია ბალანჩივაძე, გრიგოლ კილაძე, არჩილ კერესელიძე, შალვა მშველიძე, რევაზ გაბიჩვაძე, სულხან ცინცაძე, გიორგი ცაბაძე, ლილი იაშვილი და სხვები, რომლებმაც მუსიკალურად გააფორმეს ქართველ სპორტსმენთა გამოსვლები წითელ მოედანზე. ვარჯიშების მუსიკალური გაფორმება პირველად კომპოზიტორმა, პროფესორმა გრიგოლ ჩხიკვაძემ ითავა. მანვე დაწერა ქართველ სპორტსმენთა პირველი ჰიმნი. რაოდენ დასანანია, რომ ეს ღვაწლმოსილი კაცი სწორედ ამ დღეებში მივაბარეთ მშობლიურ მიწას. ასე გვედგა მხარში ინტელიგენცია, რომელიც, გულახდილად უნდა ვთქვათ, აძყამად ცოტა მოიკოჭლებს ჩვენი დახმარების საკითხებში.

ბევრმა არ იცის, რომ თავისი დროის ბავშვთა საუკეთესო ექიმი მაჩაბელი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, რომ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონის გულო რცხილაძის მწვრთნელი ინჟინერი აბულაძე გახლდათ. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ გვქონდა არც ფიზკულტურის ტექნიკუმი, არც ინსტიტუტი, ეს ვეტერანები ქართული სპორტის წინსვლა-გამარჯვებისთვის იბრძოდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა მართებულად შენიშნა, რომ ქართველმა ხალხმა სამი გზით უნდა მოიპოვოს დიდი სახელი — ეს არის მეცნიერება, ეს არის კულტურა და ეს არის სპორტი, რასაკვირველია, მძლავრ ეკონომიკაზე დაყრდნობით. ყოველივე ეს საზოგადოებრიობის გარეშე, მხოლოდ ფინანსური უზრუნველყოფით არ მოხდება, საჭიროა თავდადება, საქმის უაღრესი სიყვარული.

განა მეცნიერებაში მოწინავეობის დასტური არ იყო თუნდაც ამ რამდენიმე ხნის წინ ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გამართული თავყრილობა, რომელსაც მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფოს მეცნიერები დაესწრნენ? გავიხსენოთ: სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიკოსი დიმიტრი უზნაძე იყო ხელმძღვანელი პირველი ფსიქოლოგიური შემოწმებისა, რომელიც კამოს სახელობის საჭარხნო სკოლაში მოეწყო მოსწავლე ახალგაზრდობაზე ფიზკულტურის წუთების გავლენის შესწავლის მიზნით; აკადემიკოსმა ივანე ბერიტაშვილმა ამერიკელი ფიზიოლოგის პერსი დაუსონის მოხსენება ფიზიკური ვარჯიშის ფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ თბილისში, ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მოისმინა და ამ მოხსენებას დაასწრო ფიზიოლოგიის მეცნიერების წარმომადგენლები მთელი ჩვენი რესპუბლიკიდან. ანდა დღეს, განა დიდი მიღწევა არ არის, რომ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის ღირსებას მხოლოდ საქართველოს მოჭადრაკეები იცავდნენ და, რაც მთავარია, ქართულმა საჭადრაკო სკოლამ მსოფლიოში პირველობა მოიპოვა? ეს მოხდა მხოლოდ იმის შედეგად, რომ ქართულმა ოჯახმა ძველი ჭადრაკი აღადგინა თავის წიაღში; ასევე იყო თავის დროზე ტანვარჯიში, რაშიც მაშინ ვპირველობდით და დღეს კი ვეღარ ვპირველობთ. ასე იქნება ახლა, როცა ესოდენ დიდი უურადღება ეთმობა ქართულ ჭიდაობას, რომელიც საფუძვლად ედო საუკუნეთა მანძილზე ყოველი სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკურ გაჯანსაღებას და რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენს ფალავნებს წარმატებები მოიპოვონ მსოფლიოს სარბიელზე ჭიდაობის სხვა სახეობებშიც — თავისუფალი სტილისა იქნება, სამბო, ძიუდო თუ კლასიკური. უნდა ნახოთ, როგორ იბრძვიან პირველობისთვის, როგორ თანაუგრძნობენ თავიანთ მოჭიდავეებს რაიონების კომკავშირელები, კომკავშირის კომიტეტები, სკოლები, ოჯახები.

კარგები იყვნენ ვეტერანები, მაგრამ ძალიან ბევრი ახალგაზრდა ახლაც ცდილობს სიყვარული, ენერგია და, რაც მთავარია, ინიციატივა არ დაეკლოს რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის მასობრივად გავრცელებას. საქართველოს განათლების მინისტრმა ქალბატონმა ნათელა ვასაძემ ერთ დღეს დიდ თათბირზე დააყენა საკითხი ჩვენს სფეროში ინიციატივის უფრო ფართოდ გაშლის შესახებ, რაც, რასაკვირველია, საქმის სიყვარულის გარეშე არ გამოვლინდება.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებით პირადი დაინტერესებისა და ზრუნვის მაგალითს იძლევიან რესპუბლიკის ხელმძღვანელები. ისინი ადგილებზე ჩადიან, ხვდებიან სპეციალისტებს, ატარებენ თათბირებს. ასეთივე დამოკიდებულება უნდა გამოიჩინონ რესპუბლიკის ცალკეული ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებმა. მერწმუნეთ, ამით დიდი საქმე გაკეთდება, დაჩქარდება პრობლემათა გადაჭრა.

აქვე მინდა ვთქვა: მიუხედავად მთავრობის დიდი უურადღებისა და დახმარებისა, ჩვენი ფიზკულტურული ობიექტების მშენებლობა მაინც ბევრად ჩამორჩება სხვა მოწინავე რესპუბლიკებისას. გეგმით გათვალისწინებული სასკოლო დარბაზები, რომლებიც, სხვათა შორის, ბევრ რაიონში საწყობებად არის გადაქცეული, არ ჰყოფნით ჩვენს ბავშვებს. ორცვლიანი და ზოგჯერ სამცვლიანი სკოლების დარბაზები ვერ იტევენ სკოლის კონტიგენტს, სადაც ზოგჯერ 40-ზე მეტი კლასი ჰყავთ. ბევრმა დირექტორმა გამოიჩინა ინიციატივა და მეორე დარბაზიც მოაწყო, ზოგმა არასტანდარტული იარაღებიც დადგა ეზოში. მაგრამ ერთი რამ არის შესამჩნევი: ის დიდი ბაზები, რომლებიც რესპუბლიკაში გაშენდა, მაგალითად, თბილისის ტანვარჯიშული სკოლისა, თბილისის 26 კომისრის, ოქტომბრისა და კალინინის რაიონების სპორტსკოლებისა, მძლეოსნობის, ჭიდაობის კომპლექსური, ხელბურთის დიდი დარბაზები, გორის, გორის რაიონის, ხობის, თელავის, ბათუმის, ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულისა და სხვა რაიონებისა და ქალაქების ბაზები ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების ინიციატივით შენდებოდა და შენდება. ისინი დიდ დახმარებას უწევენ ფიზკულტურის მუშაკებს ამ საქმეში. ასეთი ინიციატივას იჩენდნენ და ბევრგან ახლაც იჩენენ [illegible] ხალხური დეპუტატთა მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარეები. მათს დახმარებას ჩვენი ვეტერანებიც და არავეტერანებიც კარგად ხედავენ. ჩვენც თავისებურად აღვნუსხავთ და ვაფასებთ მათს ღვაწლს. ვიცით რომ უამისოდ ვერც თბილისსა და საგურამოში ორი ტანვარჯიშული დარბაზის აშენებას შეძლებდნენ ჩვენი სპეციალისტები, ვერც 26 კომისრის რაიონის სპორტსკოლის კომპლექსი აშენდებოდა თვითინიციატივის, ახალგაზრდობის დიდი მონდომების გარეშე, არც სპორტის სასახლე გვექნებოდა და არც ხობის უნივერსალური ბაზა. ამ ინიციატორთა გვარები ჩვენც აღნუსხული გვაქვს.

რაც გაკეთდა, კარგია, ამას მუდამ მადლიერებით მოიხსენიებენ თაობები, მაგრამ იცოდეთ კი, ამხანაგებო, რომ ჩვენი რესპუბლიკა ჩამორჩება სპორტული კერების მშენებლობის დარგში სხვა რესპუბლიკებს!

თავის დროზე ამხანაგმა ნიკოლოზ სტურუამ 26 კომისრის რაიონის ყველა სკოლასთან მოაწყო მშვენიერი ბაზები. ეს მისაბაძი მაგალითია. შეუწყნარებელია, როდესაც იმ დროს აგებული კალათბურთის სტადიონი დღეს ავტომანქანების სადგომებად და საწყობად არის გადაქცეული და დამხმარე ოთახებსაც არადანიშნულებით იყენებენ.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგახსენეთ, რომ პარტიის დღევანდელი ზრუნვა და დახმარება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი ოციან და ოცდაათიან წლებს მაგონებს. მაგრამ, თუ მაშინ გადამწყვეტ როლს მაინც ენთუზიაზმი თამაშობდა, დღეს არც ენთუზიაზმი და ენთუზიასტები გვაკლია და არც მკვიდრი სახელმწიფოებრივი საფუძვლები და დახმარება. უკანასკნელ როლს როდი თამაშობს ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი კარგად იცნობს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემებს, იცის ჩვენი ნაკლოვანებები და ამიტომ დიდი მონდომებით გვეხმარება.

მადლობა პარტიას, მადლობა მთავრობას, მადლობა თქვენ ყველას — ვეტერანებსაც და ახალგაზრდებსაც. გილოცავთ ახალ წელს!

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲕᲔᲩᲔᲠᲜᲘ ᲤᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲪᲣᲠᲕᲐᲨᲘ

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲙᲚᲐᲕᲘᲜᲓᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲠᲐᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ შეჯიბრება გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პრიზზე უკვე ტრადიციად იქცა. საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში საქალაქო გაზეთის პრიზისთვის მებრძოლმა თბილისელმა მოცურავეებმა მეცხრედ მოიყარეს თავი.

ამ შეჯიბრებაში, როგორც წესი, თასისთვის ძირითადად დინამოელები და განთიადელები უკონკურენციოდ იბრძვიან. პირველ ორ გათამაშებაში დინამოელებმა იმარჯვეს, მერე მათ ზედიზედ ხუთჯერ განთიადელებმა სძლიეს. მერვე გათამაშებაში კვლავ დინამოელებმა იმარჯვეს — მათ აშკარად დაჯაბნეს მეტოქე და ხუთი წლის წინათ დაკარგული პრიზი დიაბრუნეს. ახლაც დინამოელებმა იზეიმეს წარმატება და საერთო „ანგარიშში“ სხვაობა მათ მინიმუმამდე შეამცირეს. დინამოელებმა 1030 ქულა მოაგროვეს, განთიადელებმა — 908.

მათთან ერთად ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „შრომითი რეზერვების“, „კოლმეურნის“, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებისა და განათლების სამმართველოს წარმომადგენლები.

სხვათა შორის, წინა წლებში ამ შეჯიბრებაში ყველა ასაკის უძლიერესი მოცურავე მონაწილეობდა. ახლაც ასე იყო, მაგრამ უფროსები კონკურსგარეშე ასპარეზობდნენ, რასაოცელი ქულების მოსაგროვებლად კი მხოლოდ ნორჩები იბრძოდნენ. ისინი ორ ასაკობრივ (უფროსი ასაკი 1972-73 წწ. დაბადებული გოგონები და 1973-74 წწ. დაბადებული ბიჭები, უმცროსი ასაკი — 1974 წ. დაბადებული ბიჭები და 1975 წ. დაბადებული გოგონები) ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი.

სარბიელზე უმცროსების გამოსვლამ თვალნათლივ დაგვანახა, თუ ვინ როგორ ზრუნავს ნორჩების აღზრდაზე.

საინტერესოა, რომ პრიზის წინა გათამაშებაში გუნდურ მესამე ადგილზე არმიელები გავიდნენ. მათ გამარჯვებულებიც ჰყავდათ და ხარისხობრივადაც სხვებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს, მაგრამ ამჯერად ასკ-ს მოცურავეები სარბიელზე

ეკა რატიანიძე.

არ გამოჩენილან, ამან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ასკ-ში ნორჩი მოცურავეებისთვის არავინ ზრუნავს და კლუბი სხვაგან აღზრდილი სპორტსმენებით ცდილობს ფონს გასვლას.

სამაგიეროდ, გაგვახარა „კოლმეურნის“ მოცურავეთა გამოსვლამ. ამ სპორტსაზოგადოებაში წინათ არავინ ფიქრობდა ცურვისა და, საერთოდ, საწყლისნო სახეობების დანერგვაზე, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ მოცურავეთა აღზრდას სათავეში კონსტანტინე პოტაპოვი ჩაუდგა. იგი გლდანის სპორტული სკოლა ინტერნატის ბაზაზე ამეცადინებს ბავშვებს და სჩანს, ნაყოფიერადაც, რადგან ამ შეჯიბრებაზე „კოლმეურნის“. წარმომადგენელთაგან ორმა იზეიმა გამარჯვება. უფროსი ასაკის ბიჭებში 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დავით მინდიაშვილმა გაიმარჯვა (28,5), ხოლო უმცროსი ასაკის გოგონებში 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში ყველას ქეთინო ბეზროდნაიამ აჯობა (1.29,2).

„ვეჩერნი ტბილისის“ პრიზის გათამაშებაში „კოლმეურნის“ მოცურავეთა დებიუტი, ვფიქრობთ, ურიგო არ უნდა იყოს.

ბურევესტნიკელებმა ცურვას ერთ ხანს ზურგი აქციეს, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ საქმეს კვლავ მოჰკიდეს ხელი. და აი, ამ შეჯიბრებაზე გუნდურ პირველობაში მესამე ადგილი დაიკავეს (619 ქულა). რამდენიმემ პირად პირველობაშიც გაიმარჯვა.

და მაინც, უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნორჩი მოცურავეების შედეგები კვლავინდებურად არ გვაკმაყოფილებს. 25-მდე პირველი თანრიგის შედეგი არამც და არამც

ზურაბ ღვლიღვაშვილი, შოთა დავითაია, ევგენი არუთინოვი.

არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. უფროსი ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ შოთა დავითაია (განათლების სამმართველო) და ანა ელიზბარაშვილი („დინამო“), რომლებმაც პირველი თანრიგის შედეგებით სამ-სამ სახეობაში გაიმარჯვეს. შოთამ ასეთ წარმატებას 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით (შესაბამისად 58,3 და 2.07,6) და 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.24,6) მიაღწია, ანამ კი 100 და 200 მეტრზე ბრასისა (შესაბამისად 1.23,8 და 3.01,0) და ბატერფლაის სტილით ცურვაში — 1.12,7.

პირველი თანრიგის შედეგით ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს: დინამოელებმა გია ბასტაძემ — 200 მეტრზე ბრასის სტილითა (2.42,4) და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (5.10,8), ევგენი არუთინოვმა — 100 მეტრზე ბატერფლაისა (1.05,6) და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (18,14,8), „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელმა ზურაბ ღვლიღვაშვილმა — 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში (1.09,2 და 2.25,9), განთიადელმა ნანა მუსიევამ — 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.47,4 და 5.52,7).

აღსანიშნავია, აგრეთვე, დინამოელების ეკა რატიანიძისა (200 მეტრზე გულაღმა — 2.44,9) და ელა პანკოვას (100 მეტრზე გულაღმა — 1.17,2), აგრეთვე, განათლების სამმართველოს წარმომადგენელის ნატალია მარტინოვას (200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 2.31,7) შედეგები.

უმცროსთა შორის გამარჯვებულნი სამწუხაროდ, მხოლოდ მესამე თანრიგის შედეგებს დასჯერდნენ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲮᲣᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ.

ჟურადღება, ცვლა მოდის!

დასასრული

ეტაპზე იასპარეზებენ. თითოეული ეტაპი შეაჯამებს განვლილი მუშაობის შედეგს, საშუალებას მოგვცემს თვალი გადავავლოთ სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლების ზრდის დინამიკას. გარდა ამისა, საკავშირო დონეზე ყოველი ასეთი გამოცდა ობიექტურად გვიჩვენებს, თუ რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სპორტსკოლებში სასწავლო პროგრამების შესრულება. პირველ ეტაპზე, მათ შორის სპორტსკოლების მოსწავლეთა თამაშებზე, წმინდა სპორტულ შედეგებთან ერთად შეფასდება შეჯიბრების მონაწილეთა საერთო და სპეციალური ფიზიკური მომზადება. ჩატარდება ტესტირება და კომპლექსური ხამედიცინო შემოწმება. მიღებული მონაცემებით სპეციალისტები დააპროგრამებენ ავტომატიზირებულ საინფორმაციო სისტემას. ეს კი სპორტსმენების როგორც ინდივიდუალური გეგმების, ისე სასწავლო პროგრამების შინაარსის ზუსტი კორექტირების საშუალებას მოგვცემს. ამასთან გაირკვევა, თუ რა ეტაპზე და რა მიზეზით იკარგებიან ახალგაზრდა ტალანტები. ამრიგად, სპორტსკოლების მოსწავლეთა მომავალი სტატუტები დაგეგმარება რეზერვების მომზადების ყველა რგოლის ობიექტურად შეფასებაში, ჩაგვახედებს სპეციალისტების მუშაობის ტექნოლოგიაში, გავიგებთ თუ როგორ ამზადებენ ისინი პერსპექტიულ სპორტსმენებს, როგორ ნერგავენ წვრთნის ახალ, მოწინავე მეთოდებს, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, რამდენად სწორად იყენებენ სასწავლო პროგრამებს და ა. შ.

⊙ თქვენ აღნიშნეთ, რომ სპორტსკოლების მოსწავლეებს გამოცდის ჩაბარება მოუწევთ საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში. როგორ მოხდება ეს?

— ფინალურ შეჯიბრებამდე მიმდინარეობა საკმაოდ ძნელ პირობებთან და გამოცდებთან იქნება დაკავშირებული. უმთავრესად აქ პირველობა ნრიგოსნები დაიშვებიან. უკიდურეს ასაკად 16 წელი ჩაითვლება. აღსანიშნავია, რომ სპორტსმენის შეფასება საკლასიფიკაციო ბილეთით არ მოხდება. თამაშების ყველა მონაწილე შეჯიბრების პირველსავე დღეს ჩაბარებს სპორტული სკოლების პროგრამებისთვის დათვალისწინებულ საკონტროლო ნორმატივებს საერთო და სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში. ის, ვინც ამ ეტაპზე გამოცდას ვერ ჩაბარებს, ძირითად შეჯიბრებაზე არ დაიშვება.

⊙ როგორი იქნება გამარჯვებულთა ჯილდოები?

— გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა სამახსოვრო პრიზები და სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის დიპლომები. მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან ვიმპელებითა და დიპლომებით. ასეთივე ჯილდოებს მიიღებენ საუკეთესო სპორტსკოლები, ხოლო სპორტსმენებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ პირად პირველობაში, გადაეცემათ medალები და დიპლომები.

⊙ როგორი იქნება შეჯიბრების რეგლამენტი, მისი თავისებურებანი?

— თამაშების პროგრამა ვრცელია. მომავალი ოლიმპიელები სპორტის 25 სახეობაში იასპარეზებენ. როგორც ვვარაუდობთ სტატრეზე გამოვა დაახლოებით ექვსი ათასი ორი სპორტსმენი. შეჯიბრებაში პირველად წყალბურთელები ჩაებმებიან. მათი ტურნირი დაიწყება 18 ივნისს თბილისში. დანარჩენ სახეობებში შეჯიბრება მოეწყობა ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს დასაწყისში.

თამაშების ეპიცენტრი თბილისი იქნება. აქ იასპარეზებენ მძლეოსნები, კალათბურთელები, ხელბურთელები, ველოსიპედისტები, ჩოგბურთელები, ფეხბურთელები, მოჭიდავეები, წყალში მხტომელები. საქართველოს სხვა ქალაქების — სოხუმის, ბათუმის, თელავის, ქუთაისის, ფოთისა და გორის მკვიდრთ საშუალება უქნებათ თვალი ადევნონ ჩვენი სპორტული რეზერვის ასპარეზობას სპორტის სხვა სახეობებში.

⊙ რამდენიმე სიტყვა თამაშებში მონაწილეთა შესახებაც გვითხარით.

— ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა და მოზარდთა ჩვეულებრივი და ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლების, სპორტსაზოგადოების და უწყებათა სექციების აღსაზრდელები. სპორტსკოლის მოსწავლეები გამოვლენ იმ სპორტულ საზოგადოებათა სახელით, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან. ხოლო სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატები იმ გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც ისინი 1986 წლის 1 სექტემბრამდე გააგზავნეს ინტერნატში სასწავლებლად.

გამოვყოფ სხვა ნიუანსებსაც. ნაკრები „ეროვა“ დაკომპლექტებულია სოფლის ტერიტორიაზე მდებარე ყველა სპორტსკოლის აღსაზრდელით. საქართველოს გუნდში შევლენ რესპუბლიკის სპორტსკოლების მოსწავლეები, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ უწყებას მიეკუთვნებიან ისინი.

საყურადღებო ფაქტია, რომ კალათბურთში, ხელბურთსა და სპორტული თამაშობების სხვა ტურნირებში მონაწილეობას მიიღებენ უწყებათა და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა მიერ ჩატარებულ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები. ამასთან, დასაშვებია, რომ ეს გუნდები ნახევრად იგივე საზოგადოების სხვა სპორტული სკოლის მოთამაშეებითაც შეიკვსოს.

⊙ ჩვენ საუბარი გვქონდა ძირითადად ფინალურ შეჯიბრებებზე. რას გვეტყვით დევიზზე „მასობრიობიდან — ოსტატობისაკენ!“

მასობრივ და შერჩევით შეჯიბრებებს ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სპორტსკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებები დაბალი საფეხურიდან მიმდინარეობდეს საზეიმო ვითარებაში. უნდა გამოიკვეთოს გოგონათა და ჭაბუკთა ლტოლვა დაოსტატებისაკენ.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ თუ რას წარმოადგენს თითოეული მწვრთნელი, რა წვლილი შეაქვს მას საერთო საქმეში, აგრეთვე შევაფასოთ თითოეული სპორტული სკოლის მუშაობა.

ვფიქრობ, ყველაფერი გასაგებია — ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ მოდის ჩვენი სახელმოხვეჭილი ოლიმპიელების ნაკვალევზე, ხვალ ვინ განადიდებს საბჭოთა სპორტის სახელს.

ესაუბრა ვ. გორგუნოვი.
„სოვეტსკი სპორტი“
4 იანვარი, 1987 წ.

იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.

სპორტის ცალკეულ სახეობებში თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების ჩატარების გრაფიკს ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ერეკვნული „ბიბლიოთეკა ვერელის“ ახალი სიცოცხლე

დასასრული

ველივე ამაში იყო ბევრი რამ არაორდინალური. ფეხბურთს თამაშობდნენ ბიჭები, რომლებსაც მხოლოდ... ექვსი წელი შესრულებოდათ. ჩვენ დავესწარით ეზოს საფეხბურთო გუნდის „პატარა ვერელის“, საბავშვო კლუბის ვარჯიშს, რომელსაც ახლახან ათი წელი შეუსრულდა.

მისი შექმნის ამბავი ცოტა უჩვეულოა: გუნდის პირველი მწვრთნელი იყო... ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იზოლდა კეკელია. ჩვიდმეტი წლის წინათ მოვიდა იგი პედაგოგ-ორგანიზატორად სამუშაოდ თბილისის კალინინის რაიონის № 61 საბინაო-საექსპლუატაციო კანტორაში. ვერის უბანში, რომელიც ოდითგანვე ერთ-ერთ სპორტულ უბნად ითვლებოდა ქალაქში, ბევრი ბიჭი ცხოვრობდა, რომელთა უმრავლესობა სპორტისა და უწინარეს ყოვლისა, ფეხბურთის თავგამოდებული მოყვარულია. და მოუწია იზოლდა კეკელიას პროფესიის შეცვლა — იგი გახდა მათი პირველი მწვრთნელი. საბინაო-საექსპლუატაციო კანტორამ ბავშვებს მცირე ზომის სათავსი გამოუყო ღამბაშიძის ქუჩაზე, სადაც მათ შეეძლოთ გაეტარებინათ თავისუფალი დრო ჭადრაკის დაფასთან ან ჩოგბურთის მაგიდასთან. ი. კეკელიას ხელმძღვანელობით ვერის უბნის ბიჭებმა გაიმარჯვეს „ტყავის ბურთის“ პრიზის რაიონულ პირველობაზე.

მოგვიანებით, როცა ბიჭები წამოიზარდნენ და მწვრთნელის საფეხბურთო ცოდნაც საკმარისი აღარ იყო, მან დაიყოლია მეუღლე გუნდის წვრთნა ეკისრა.

ის ამბავი, რომ ბიჭებს „ნამდვილი“ მწვრთნელი ასწავლის, მთელ უბანს მოედო. და ვლადიმერ კოპალიანი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი სამშობლოში იძულებული გახდა სამი გუნდი შეექმნა. პირველს უწოდეს „პატარა ვერელი“, ხოლო № 61 საბინაო საექსპლუატაციო კანტორასთან არსებულ ბავშვთა კლუბს კი მიანიჭეს წარსულში თბილისის „დინამოს“ ცნობილი ფორვარდის ბორის პაიჭაძის სახელი. ვეტერანი ყოველთვის იყო და რჩება ნორჩი ფეხბურთელების სასურველ სტუმრად, ბიჭების დიდ მეგობრად, „პატარა ვერელის“ კონსულტანტად.

თავისი არსებობის ათი წლის მანძილზე გუნდმა მრავალ რესპუბლიკურ და საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა, მონაწილეობდა საზღვარგარეთ გამართულ ასპარეზობებში. ახლა კლუბის სპორტულ მუზეუმში შეკრებილია ორმოცამდე სატატიო პრიზი, რამდენიმე ათეული სიგელი, მათ შორის, ორი სსრკავშირის სპორტსახკომისა, რომელიც მიენიჭა ქვეყანაში ერთ-ერთ საუკეთესო სპორტულ კლუბს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

დრო სწრაფად გარბის. „პატარა ვერელში“ რამდენიმე თაობა შეიცვალა. ვლადიმერ კოპალიანი კი შესაშური გატაცებით განაგრძობს ბიჭებთან მეცადინეობას. მოიარა რამდენიმე ახლო მდებარე სკოლა; შეარჩია მოძრავი, მარჯვე ბავშვები.

...ს. მ. კიროვის სახელობის პარკის პატარა მოედანზე მორიგი წვრთნა მიმდინარეობს. იგი მსუბუქი მოთელვით იწყება. მწვრთნელი ითვალისწინებს რა ბავშვების ასაკს, წვრთნის პროგრამაში შეაქვს ელემენტარული ილეთები დილის გამამხნევებელი ვარჯიშის კომპლექსიდან.

— კვირაში რამდენი ვარჯიში გაქვთ?

— ოთხი.

— დიდი ხომ არ არის დატვირთვა ექვსი წლის ბავშვებისათვის?

— არა. ვარჯიშებს ვამრავალფეროვნებთ სათამაშო ელემენტებით, ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ მონოტონურობა.

მეცადინეობა საინტერესოდ მიმდინარეობს, მას ყოველთვის ახლავს მხიარული ხუმრობა, ჭრიამული. მაგრამ, როცა იწყება ბურთით თამაში აქ არავის სჭირდება ძალდატანება.

1986 წლის ნიმუშის „პატარა ვერელი“ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს დიდ სპორტში. კი მაგრამ, სად არიან მათი წინამორბედები? — ვეკითხებით ვლადიმერ კოპალიანს.

— მიზნად არასდროს დაგვისახავს მომავალი ჩემპიონების აღზრდა, თუმცა ეს ნაკლებად სასიამოვნო როდია. — თქვა მან. — უფრო მნიშვნელოვანია აღვზარდოთ კარგი ადამიანები. პრაქტიკულად ყველა, ვისთანაც მომიწია მუშაობის დაწყება ათი წლის წინათ, სწავლობს რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მრავალი მათგანი უკვე საბჭოთა არმიის რიგებიდანაც დაბრუნდა. ბიჭები გამოდიან სტუდენტურ საფეხბურთო გუნდებში. გია ყოჩიშვილითა და გიორგი ხუნწარიათი დაინტერესდნენ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელები. ლევან გახოკიძე შეუყვანილია რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებში.

ვარჯიშზე გავიცანით კიდევ ორი მათი ამხანაგი. სტუდენტები გიორგი კოსტავა და გია გერმანიშვილი ეხმარებიან თავიანთ მწვრთნელს. „პატარა ვერელში“ მემკვიდრეობითობა გრძელდება!

შ. შალოლაშვილი.
(საქინფორმის კორ.).

იტალია

კვირას გაიმართა მე-14 ტურის მატჩები. ეს ტური „ნაპოლის“ პირველი დამარცხებით აღინიშნა. „ფიორენტინამ“, რომელიც ამ სეზონში წარუმატებლად გამოდის და აუტსაიდერთა შორისაა, ამჯერად კარგად ითამაშა და დაამარცხა ლიდერი — 3:1. მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს დიასმა, ანტონინიმ და მონელიმ, ხოლო „ნაპოლის“ ერთადერთი ბურთი მარადონასა ანგარიშზეა. ლიდერის დამარცხებით ისარგებლა მილანის „ინტერნაციონალემ“, რომელიც მოუგო ბერგამოს „ატლანტას“ ანგარიშით 1:0 და ბურთების სხვაობით პირველ ადგილზე გავიდა. დაძაბულად მიმდინარეობდა ტურინის „იუვენტუსისა“ და ვერონის „ელასის“ შეხვედრა. ანგარიში „ელასის“ მოთამაშემ ელციერმა გახსნა, მაგრამ თამაშის მეორე ნახევარში მანფრედონიამ აღადგინა წონასწორობა — 1:1. შეხვედრის ბოლო წუთებზე კაბრინიმ საჯარიმო დარტყმით გაიმარჯვება მოუტანა „მილანს“ კომოში — 1:0. ეს „კომოს“ ზედიზედ მესამე დამარცხებაა.

„უდინეზესა“ და „ტორინოს“ შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრდა. მასპინძელთაგან გოლი გაიტანა იტალიის ნაკრების ყოფილმა მცველმა კოლოვატიმ, რომელიც მიმდინარე სეზონში „უდინეზეში“ გადავიდა.

როგორც ცნობილია, იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, „უდინეზმა“ ჩემპიონატი მინუს 9 ქულით დაიწყო. ახლა მას 4 ქულა აქვს და ბოლოდ 4 ქულით ჩამორჩება „ასკოლისა“ და „ატალანტას“.

„აველინო“ დამარცხდა „ემპოლისთან“ — 0:1. ერთნაირი ანგარიშით — 0:0 დამთავრდა შემდეგი შეხვედრები: „სამპდორია“ (გენუა) — „რომა“ და „ასკოლი“—„ბრეშია“.

„ინტერნაციონალე“	14	18:5	20
„ნაპოლი“	14	20:10	20
„მილანი“	14	15:7	18
„იუვენტუსი“	14	20:15	18

საერთაშორისო ფეხბურთი: ფიფიანელი, ცხრილები

ესპანეთი

კვირას ძალიან საინტერესოდ წარიმართა 21-ე ტურის ცენტრალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდა ორი „რეალი“ — სარაგოსისა და მადრიდისა. თამაშის დასაწყისში მასპინძლებმა ხელიდან გაუშვეს გოლის გატანის რამდენიმე შესანიშნავი შესაძლებლობა, 32-ე წუთზე კი სტუმართა იშვიათი კონტრშეტევა მიჩერმა გოლით დაგვირგვინა. როცა მეორე ტაიმის დასაწყისში ბუტრაგენიმ მეორე ბურთი გაიტანა სარაგოსელთა კარში, მადრიდელთა გამარჯვებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მაგრამ მასპინძელთა, განუწყვეტელი შეტევები წარმატებით დამთავრდა. შეხვედრის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე სენიორმა შეამცირა ანგარიში სხვაობა, ხოლო ორი წუთის შემდეგ ხულიამ მეორე გოლი გაიტანა — 2:2.

„ბარსელონა“ მთელი შეხვედრის მანძილზე უპირატესობას ფლობდა „სანტანდერთან“. პირველ ტაიმში ლინეკერმა გახსნა ანგარიში, მეორე ტაიმში კი ისევ ლინეკერმა და კალდერემ კიდევ ორი ბურთი გაიტანეს. სტუმრებმა მათ მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს (ბერიკო ალონსო) — 3:1. ჯონ ლაურიდსენის გოლმა გამარჯვება მოუტანა ბარსელონის „ესპანიოლს“ ხიხონში ადგილობრივ „სპორტინგთან“ — 1:0.

ორ ბასკურ გუნდს სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადსა“ და ბილბაოს „ატლეტიკს“ შორის შეხვედრა მასპინძლების — სან-სებასტიანელების გამარჯვებით დამთავრდა. ბილბაელი ბაჩი სალინასს გოლს მასპინძლებმა ორი ბურთით უპასუხეს (სანტი ბაკერო და მუნიკა) — 2:1.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ პირველი გამარჯვება ნოიპოვა მადრიდის „ატლეტიკომ“, რომელმაც დაამარცხა მალიორკის „რეალი“ 3:1 (ორი ბურთი ხულიო სალინასმა გაიტანა).

ფრედ — 1:1 — დამთავრდა შეხვედრა ლას პალმასის „უნიონსა“ და მურსიის „რეალს“ შორის. ამ მატჩში მურსიელებს ხელმძღვანელობდა ახალი მწვრთნელი, უნგრელი ანტალ დუნაი, რომელმაც ლადისლაო კუბალა შეცვალა.

სხვა შეხვედრები: „რასინგი“ (სანტანდერი) — „ვალისი“ — 2:1, „ოსასუნა“ (პამპლონა) — „სევილია“ — 1:1, „ბეტისი“ (სევილია) — „რეალი“ (ვალიადოლიდი) — 2:1.

„ბარსელონა“	21	30:9	32
„რეალი“ (მადრიდი)	21	36:19	29
„ესპანიოლი“	21	34:18	28

ინგლისი

შაბათს, მორიგ ტურში სამივე ლიდერმა გაიმარჯვა: ლონდონის „არსენალმა“ მეტოქის მინდორზე დაამარცხა „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — 2:1. სტუმრად გაიმარჯვა ლივერპულის „ევერტონმა“, რომელმაც მოუგო ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსს“ — 1:0. ეს ბურთი შარპმა გაიტანა. ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედთან“ შეხვედრაში „ლივერპულს“ გამარჯვება მოუტანა მაკმანის გოლმა — 1:0. „საუთჰემპტონისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო 5 ტურში 10 ქულა მოიპოვა და თავი დაღწია სახიფათო ზონას.

სხვა შეხვედრები: „ასტონ ვილა“ (ბირმინგემი) — „ნოტინგემ ფორესტი“ — 0:0, „მანჩესტერ სიტი“ — „ოქსფორდ იუნაიტედი“ — 1:0, „ნიუკასლ იუნაიტედი“ — „კოვენტრი სიტი“ — 1:2, „ნორიჩ სიტი“ — „ჩარლტონ ათლეტიკი“ — 1:1, „უესტბროლონი“ — „უოტფორდი“— 2:1.

„არსენალი“	24	41:13	51
„ევერტონი“	24	41:20	47
„ლივერპული“	24	42:24	44

ზედიზედ მეორედ

უკრაინის ქალაქ კონსტანტინოვში გაიმართა ტრადიციული საკავშირო ტურნირი კლასიკურ ჭიაობაში ჭაბუკთა შორის. ამ შეჯიბრებაში 18 გუნდის 300-მა სპორტსმენმა იასპარეზა. მათ შორის ოცდაერთ „სპარტაკის“ ჭუთაისის ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა. ჭუთაისელებმა გუნდურ ანგარიშში 67 ქულით I ადგილი დაიმსახურეს. გორდამავალი ოსი მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ჭუთაისის გუნდმა (მწვრთნელი ელგუჯა მარუაშვილი) მეორედ იასპარეზა ამ შეჯიბრებაში და ორივეჯერ გაიმარჯვა.

პირად პირველობაში უძლიერესები იყვნენ ტარიელ ტყეშელაშვილი (35 კგ), ხვიჩა ანკვეტაძე (45), ვარლამ ჩუბინიძე (52), და ვლადიმერ ძოწენიძე (56).

თამაზ კოლხიდელი,
(„ლელოს“ საკ. კორ.).

ჭუთაისი.

თებერვალში იწყება

(დასასრული)

ურუგვაისა და არგენტინაში, თბილისის „დინამო“ კი თებერვლის პირველ რიცხვებში ტურნეს გამართავს პორტუგალიაში.

მეტად საინტერესო და დაძაბული იქნება ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრების კალენდარი, საბჭოთა ფეხბურთელებმა უნდა იბრძოლონ 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად. შესარჩევი მატჩების ჩატარებამდე ჩვენი ნაკრები 28 იანვარს სტუმრად ითამაშებს იტალიის დედაქალაქის ცნობილ კლუბ „რომასთან“, შემდეგ, 18 თებერვალს, ასევე სტუმრად შეხვდება უელსის ეროვნულ ნაკრებს. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს, საბჭოთა ნაკრები 29 აპრილს შინ მიიღებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ ნაკრებს. საბჭოთა კავშირის ნაკრები 3 ივნისს სტუმრად შეხვდება ნორვეგიელებს, 9 სექტემბერს შინ მიიღებს ფრანგებს, 7 ოქტომბერს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეხვდება ამ ქვეყნის ნაკრებს, ხოლო 28 ოქტომბერს უმასპინძლებს ისლანდიის გუნდს.

სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები 15 აპრილს ჩაებმება 1988 წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში, ამ დღეს იგი სტუმრად ითამაშებს თურქეთის ნაკრებთან. ოლიმპიურ შესარჩევ ჯგუფში ამ ორი ნაკრების გარდა მონაწილეობენ ნორვეგიის, ბულგარეთისა და შვეიცარიის ფეხბურთელები.

ჩვენი სამი ფეხბურთელი ნაკრებში

როგორც ყოველ წელიწადს, ახლაც ლენინგრადში გაიმართება გამოჩენილი საბჭოთა მეკარის, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნაკრების პირველი ვიცე-პრეზიდენტის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. გრანატკინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. გათამაშება 7-15 იანვარს ჩატარდება ლენინგრადის დახურულ სპორტკომპლექსში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად თბილისის „დინამოდან“ ნაკრებში მიწვეულნი არიან ბ. თედეევი, ა. ბეკოევი და მ. კალატოზიშვილი.

ცაგერის რაიონში ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით და მხარდაჭერით შესამჩნევად გამოცოცხლდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, კეთილმოეწყო ძველი და გაშენდა ახალი სპორტული ბაზები. ფიზკულტურისა და სპორტის მოსახლეობის ფართო ფენებში მასობრივად დანერგვის პროპაგანდის საქმეში შეთანხმებულად მუშაობენ რაიონის სპორტკომიტეტი და ადგილობრივი გაზეთის რედაქცია. სისტემატურად ეწყობა სპორტული შეჯიბრებები. დღეს ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ფოტოებზეც ამ ასპარეზობების მომენტებია ასახული.

ყველა ჯილდო—სტუმრებს

130 სპორტსმენი, მათ შორის 16 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გამოვიდა მახარაძეში გამართულ მსროლელთა საკავშირო პირველობაში, რომელშიც უმაღლესი დაოსტატების სპორტული სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. სროლის საკავშირო ფედერაციის წარმომადგენელთა აზრით, შეჯიბრება საუცხოოდ იყო ორგანიზებული (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე — პარტიის მახარაძის რაიკომის მესამე მდივანი ო. ბერაძე, მთავარი მსაჯი — ზ. ხომერიკი), მაგრამ მონაწილეთა შედეგები მაინცდამაინც მაღალი არ ყოფილა. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს გუნდში საპატიო მიზეზის გამო არ გამოდიოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი თამაზ იმნაიშვილი და ამან ჩვენი გუნდის შედეგზე უარყოფითად იმოქმედა. გამარჯვება ყველა დისციპლინაში სტუმრებმა იზეიმეს. ადგილიდან სროლაში მოზრდილთა შორის გაიმარჯვა როსტოველმა ი. ჩებანოვმა, იუნიორებში — უკრაინელმა კ. მანდრიკმა. მრგვალ სტენდზე უძლიერესნი იყვნენ ვ. ტიმოხინი (მოსკოვი) და ს. იაკშინი (ყაზახეთი). გუნდური პირველობა მრგვალ სტენდზე მოსკოველებმა მოიგეს, ადგილიდან სროლაში კი როსტოვის ოლქის სპორტსმენებმა.

ვალერიან შავიშვილი.

ინფორმაცია

კარლსრუე. ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა დასავლეთ გერმანიის „რიპტპაიმი“ დაამარცხა (11:4) და პირველი ადგილი დაიკავა.

ინსბრუკი. ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ოთხი ტრამპლინის ტურნე“ იუგოსლავიელმა პრიმოჟ ულაგამ მოიგო. 90 მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში მან ორჯერ 109,5 მეტრი დასძლია, რაც 226,4 ქულას შეესაბამება. მეორე ადგილზე ნორვეგიელი როარ სტერნერი გავიდა (108 და 109 მ), მესამეზე — ავსტრიელი ერნსტ ვეტორი (112 და 102,5 მ). საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი ვალერი კარეტნიკოვს ჰქონდა (102 და 104 მ) — მეთვრამეტე ადგილი.

მაგდებურგი. ხელბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ზაპოროჟიეს ზიე-მ ერთადერთი ბრძოლა წაგო ადგილობრივ „მაგდებურგთან“ (13:16) და მეორე ადგილი დაიკავა.

ბრემენი. ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში სვერდლოვსკის „ურალოჩკა“ კუბის სპორტსმენებთან დამარცხდა 1:3 და მეორე ადგილზე გავიდა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გდრ-ის ნაკრებმა გფრ-ის გუნდს აჯობა — 3:0.

ოსლო. მოთხილამურეთა ტრადიციული რბოლა „მონოლიტი“ შვეიცარიელმა სპორტსმენებმა მოიგეს. ქალთა შორის პირველი ადგილი კარინ თომასმა მოიპოვა, ვაქებში — ანდი გრიუნენფელდერმა.

პონტევედრა (ესპანეთი). ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა იუგოსლავიის გუნდი დაამარცხა — 29:24. ესპანელებმა დანიის ნაკრებს აჯობეს — 26:19.

„სპორტლოტო“

გუშინწინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ 1987 წლის პირველი ტირაჟები:

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 1 (კალათბურთი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 25 (საციგაო სპორტი), 31 (ფარიკაობა), 39 (ბადმინტონი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 25 (საციგაო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა), 35 (ჰოკეი).

საახალწლო შესვენების შემდეგ

ევროპის-საკლუბო ტურნირები

კალათბურთში პოპულარული ევროპული ტურნირების მონაწილეებს ჩემპიონთა თასისათვის, თასების მფლობელთა თასისთვის და რ. კორაჩის თასისთვის მებრძოლებს საახალწლო „წუთშესვენება“ ჰქონდათ. ეს ტურნირები დღეს განახლდება. თვალი გადავავლოთ განვლილი ორი ტურის შედეგებს.

ყველასათვის მოულოდნელად ორი ტურის შემდეგ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში დაწინაურდა საფრანგეთის ჩემპიონი „ელან ბირნე“. პირველ ტურში გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში საკუთარ მოედანზე დაამარცხა იტალიის ჩემპიონი, მილანის „ტრაჩერი“ — 76:73. მართალია, მატჩის პირველი ნახევარი ფრანგებს კარგს არაფერს უქადდა: ანგარიშით 36:33 იტალიელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ „ტრაჩერს“ ვერ უშველა ამერიკელი მაკადუს (28 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა და იტალიელებმა ეს მატჩი წაგეს. მეორე ტურში „ელან ბირნემ“ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა მადრიდში, ადგილობრივ „რეალთან“ შეხვედრაში — 85:77. საფრანგეთის ჩემპიონის წარმატებებს მიმომხილველები უკავშირებენ ამერიკელი ვარსკვლავის ჯორჯ კარტერის სახელს, რომელმაც თავის თანამემამული შეფლერთან ერთად მძლავრი ტანდემი შექმნა. მათ კარგად აუბეს მხარი საფრანგეთის ნაკრების წევრებმა ჰუფნაგელმა და აკემ.

ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ერთ-ერთი მოულოდნელობა იყო კაუნასის „ჟალგირისის“ დამარცხება იუგოსლავიის ჩემპიონთან „ზადართან“ შეხვედრაში. კაუნასელებმა აშკარად წააგეს ბრძოლა ფარქვეშ და სუსტად ითამაშეს დაცვაში. იუგოსლავიელებმა შეძლეს საბონისის ნეიტრალიზება. ისინი წრიული დაცვის მეშვეობით ფარის ქვეშ არ უშვებდნენ საბონისს. კაუნასელებმა ვერ შეძლეს იუგოსლავიელთა ლიდერის მატულოვიჩის უგნებელყოფა. „ზადარმა“ გაიმარჯვა — 82:78. მაგრამ „მაკაბისთან“ შეხვედრაში „ზადარი“ დამარცხდა. მატჩის ბედი ფაქტიურად პირველივე ტაიმში გადაწყდა — 51:33 „მაკაბის“ სასარგებლოდ. გუნდმა ეს უპირატესობა მეორე ტაიმშიც არ დათმო და გაიმარჯვა 99:83. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ბერკოვიჩი (27 ქულა), მაჯე (25), ჯონსონი (23), მეორე ტურში „მაკაბი“ მილანში „ტრაჩერთან“ შეხვედრაში დამარცხდა. ასლა ოთხ გუნდს — „ჟალგირისს“, „მაკაბის“, „ტრაჩერს“ — „ზადარს“ თითო გამარჯვება აქვთ. არც ერთი მატჩი არ მოუგია მადრიდის „რეალს“.

თასის მფლობელთა თასის გათამაშებაში პირველ ჯგუფში ლიდერობს მოსკოვის ცსკა და ესპანეთის კლუბი „ხუვენტუდ ბადალონა“. ესპანელებმა ჯერ საკუთარ მოედანზე პრინციპული მატჩი მოუგეს ვილერბანის „ასველს“ 99:83, შემდეგ კი ოსტრავაში დამარცხეს ადგილობრივი კლუბი— 110:89. ასევე ორჯერ გაიმარჯვა ცსკა-მ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მატჩი ვილერბანის „ასველთან“ — 102:53. სწრაფი კონტრშეტევებით და ზუსტი ტყორცნებით არმიელებმა დაშალეს მოწინააღმდეგის ზონური დაცვა. მეორე ჯგუფში დაწინაურდა ზაგრების „ციბონა“. დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი „ციბონას“ და „სკავოლინის“ შორის, რომელიც ზაგრებში გაიმართა. „ციბონას“ თვალსაჩინო უპირატესობა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გამოიკვეთა — 70:34. მეორე ტაიმში იტალიელებმა შეძლეს ანგარიშში სხვაობის შემცირება და მატჩი დამთავრდა 123:99 „ციბონას“ სასარგებლოდ. გამარჯვებული გუნდის წევრებიდან ყველაზე შედეგიანები იყვნენ: ცვეტიჩანინი (28 ქულა), დრაჟენ პეტროვიჩი (27), უშიჩი და ალექსანდრე პეტროვიჩი (20-20). დამარცხებული გუნდიდან: ფრედერიკი (24 ქულა), ზამპალინი (16). მეორე ტურში „ციბონამ“ სძლია „რესინგს“ — 121:98 (57:53). დრაჟენ პეტროვიჩის ანგარიშზეა 54 ქულა, ცვეტიჩანინის ანგარიშზე— 25 ქულა. „სკავოლინმ“ მოულოდნელად წააგო სტამბულში — 64:87 (32:43).

რ. კორაჩის თასის გათამაშებაში ორჯერ დამარცხდა ლენინგრადის „სპარტაკი“, ჯერ „ლიმოჟთან“ — 77:104, ხოლო შემდეგ კანტუში — 77:79. ამ ჯგუფში ორი გამარჯვებით ლიდერობენ „ლიმოჟი“ და კანტუ. მეორე ჯგუფში ასევე ორი გამარჯვებით დაწინაურდა „ბარსელონა“. მას ერთი ქულით ჩამორჩება „დივარეზი“ და „იუგოპლასტიკა“. მესამე ჯგუფში ორი გამარჯვებით წინ არის ბელგრადის „პარტიზანი“. თითო გამარჯვება აქვთ „სარაგოსას“ და „მარიემბურსს“. მეოთხე ჯგუფში ორი მოგებული მატჩით დაწინაურდა კაზერტის „მობილჯირჯი“, რომლის შემადგენლობაში გამოდის ბრაზილიელი ოსკარ შმიტი.

მერაბ კალანდაძე.

ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს

ერთვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება: კონკურსი!

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო და მორბენალთა კლუბი „ივერია“ 1987 წლის 6 იანვრიდან 7 ნოემბრამდე აცხადებს დაუსწრებელ კონკურსგარბენს „მოძრაობა ჯანმრთელობისათვის“ პირობითი მარშრუტით თბილისი — ლენინგრადი. გარბენი ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავს და საქართველოს პროფკავშირების XVIII ყრილობას.

გარბენის მონაწილეს შეუძლია მანძილი 4200 კმ თბილისიდან ლენინგრადამდე შინ დაძლიოს. „ჯანმრთელობის კილომეტრების“ ექვივალენტად იგულისხმება ერთ კილომეტრზე ძუნძულით სირბილში ან 100 მეტრზე ცურვაში ან ველოსიპედით 3 კმ სიარულში, ან 2 კმ-ზე ტურისტულ ლაშქრობაში დახარჯული ენერგია.

კონკურსის მონაწილე კვარტალში ერთხელ ჩააბარებს საკონტროლო ნორმატივებს. საკონტროლო სტარტებად შეიძლება ჩაითვალოს საწარმო-დაწესებულებების და სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივებში ჩატარებული შეჯიბრებები.

ყოველი მონაწილე საკონტროლო სტარტის შემდეგ მსაჯთა კოლეგიას ან ოფიციალურ პირს წარუდგენს ბარათს, რომელშიც ის გააკეთებს სათანადო ჩანაწერს.

ქიური ფიზკულტურის კოლექტივებისა და სირბილის მოყვარულთა კლუბის მიერ წარმოდგენილი ბარათების საფუძველზე დაასახელებს გამარჯვებულს.

ბარათი უნდა შეივსოს შემდეგნაირად: მრიცხველში იწერება დღიური გარბენი, მნიშვნელში — დაძლეული კილომეტრების ჯამი. „ჯანმრთელობის კილომეტრების“ შეჯამება მოხდება 1987 წლის 1 ნოემბერს, ბოლო საკონტროლო გარბენი მოეწყობა თბილისის ზღვის გარშემო. 10 გამარჯვებული მონაწილე და ამდენივე კოლექტივი საპატიო სიგელებით და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდებიან.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ „სპარტაკის“ რესპუბლიკურ საბჭოს.

მისამართი: ა. წერეთლის გამზირი, 95-ა. მძღოლობის სასახლე. ტელეფონი: 34-75-39, 34-72-29.

სირბილისა და სიარულის მოყვარულებს ვიწვევთ „დაუსწრებელ პირობით გარბენში“.

საორგანიზაციო კომიტეტი

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძ

ეკრანზე...

ცენტრალური ტელევიზია. **იანვარი.** დილის დაჭურვა — 8.[illegible] (1); დილის ტანვარჯიში — 9.[illegible] (2); კალათბურთი. რ. კორაჩ[illegible] თასის გათამაშება: „სპარტაკი“ ([illegible]ნინგრადი) — „შიბენკა“ (იუგ[illegible]ლავია), თასების მფლობელთა [illegible]სი: ცსკა (სსრ კავშირი) — „ხ[illegible]ვენტუდი“ (ესპანეთი) — 19.[illegible] (2); რიტმული ტანვარჯიში [illegible] 21.30 (2).

საქართველოს ტელევიზია. **იანვარი.** კალათბურთი. რ. კორ[illegible]ჩის თასის გათამაშება: „სპარტ[illegible]კი“ (ლენინგრადი) — „შიბენ[illegible] (იუგოსლავია), თასების მფლო[illegible]ლთა თასი: ცსკა (სსრ კავშირი) — „ხუვენტუდი“ (ესპანეთი) — 19.[illegible]

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდ[illegible] ნოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტ[illegible]რი წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 06[illegible]